ოქმი № 1

ცაგერის მუნიციპალიტეტის ქ. ცაგერის აღმაშენებლის ქუჩის მოსახლეობის კრების

20/09/2022წ.

კრებას ესწრებოდნენ ქ. ცაგერის აღმაშენებლის ქუჩის მოსახლეობა 19 კაცის რაოდენობით. კრებას ასევე ესწრებოდნენ ცაგერის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - გიორგი ხმელიძე, ამავე სამსახურის სპეციალისტი - თამარ დავითულიანი, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქალაქ ცაგერში - აკაკი პირველი.

კრების თავმჯდომარე: ა. პირველი

მდივანი: თ. დავითულიანი

დღის წესრიგი

1. ქ. ცაგერის აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარდ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 89.15.22.280) იჯარით აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკისა და ქონების მართის სამსახურის

უფროსი გ. ხმელიძე

მომხსენებელმა კრების მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გეგმავს ქ.ცაგერში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემას, რისთვისაც საჭიროა აღნიშნული ტერიტორიის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის თანხმობა.

აზრი გამოთქვეს: ნ. სილაგაძე, ა.კვირკაშვილი, გ. გოლეთიანი, შ. ჯიაძე.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, მათვის ცნობილია, რომ დაინტერესებული პირი ამ ტერიტორიაზე გეგმავს ინერტული მასალების საწყობის მოწყობას, რაც გამოიწვევს ხმაურს და ამ ტერიტორიის მიმდებარე უბნის დამტვერიანებას. ამასთან, ამ ადგილს მოსახლეობა იყენებს პირუტყვის საძოვრად. გამომდინარე აქედან ისინი წინააღმდეგნი არიან მიწის იჯარით გაცემაზე.

დაადგინეს: უარი ეთქვას სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

მოახდინოს ქ. ცაგერში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ

არსებული **16 458** m^2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-

ნიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემაზე.

კრების მონაწილეთა ხელმოწერები ოქმს თან ერთვის

კრების თავმჯდომარე: ა. პირველი

კრების მდივანი: თ. დავითულიანი

20/09/2022